# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №85

(გამარტივებული შესყიდვების შესახებ)

ჭიათურა                                                                                   25 დეკემბერი 2015 წ

## 1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთის მხრივ სსიპ „ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი" (ს/კ:215593043), წარმოდგენილი მისი დირექტორის ნანა წერეთლის სახით, შემდგომში „შემსყიდველი", მისამართი: ქ. ჭიათურა, ჭავჭავაძის ქ. №15 და მეორეს მხრივ შპს "შოუ ტექნიკის ცენტრი" (ს/კ:205073212), წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის ზაზა გაბელაიას სახით, შემდგომში „მიმწოდებელი", მისამართი: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. №27ბ, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია: შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის გზით სცენის განათების (პროჟექტორის) ნათურებისა და კაბელის (DMX კაბელის) მიწოდება. შესყიდვა კლასიფიკატორის კოდი: CPV-31500000(31519100); 31300000(31321200)

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 578.00 (ხუთას სამოცდათვრამეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს (მითითებული თანხის ფარგლებში "შემსყიდველის" მოთხოვნილებისამებრ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადების ჩათვლით.

## 4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი იღებს ვალდებულებას:

4.1.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად დროულად აუნაზღაუროს მოწოდებული საქონლის ღირებულება.

4.1.2. მხარეთა ურთიერთშეთანხმებით შესაძლებელია "შემსყიდველმა" გადაუხადოს წინასწარი გადახდით "მიმწოდებელს" მოსაწოდებელი საქონლის ღირებულება წარმოდგენილი წინასწარი გადახდის დოკუმენტაციის შესაბამისად.

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია:

4.2.1. მიაწოდოს "შემსყიდველს" ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო და ხარისხიანი საქონელი "შემსყიდველის" მოთხოვნის შესაბამისად.

4.2.2. მიაწოდოს საქონელი "შემსყიდველს" შეთანხმებულ ვადებში.

4.2.3. საქონლის მიწოდება განახორციელოს "შემსყიდველის" მოთხოვნების შესაბამისად 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 5. ანგარიშსწორება

5.1. მხარეთა შორის ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშწორებით.

5.2. მხარეები აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს ან შესაბამის დოკუმენტაციას, რაც სავალდებულოა ორივე მხარისათვის და საბოლოო ანგარიშწორებისათვის.

5.3. ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი მომწოდებელს მიღება-ჩაბარების აქტის ან შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში გადაუხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოწოდებული საქონლის ღირებულებას.

5.4. საქონლის ეტაპობრივად მოწოდების შემთხვევაში ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი "მომწოდებელს" ეტაპობრივად გადაუხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოწოდებული საქონლის ღირებულებას წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის ან შესაბამის დოკუმენტაცის მიხედვით.

5.5. მიმწოდებლის მიერ თუ არ იქნება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების შესაბამისი რაოდენობის საქონლის მიწოდება (შემსყიდველი არ მისცემს შესაბამისი რაოდენობის საქონლის შეკვეთას) მაშინ მოხდება ხელშეკრულების ღირებულების ავტომატური შემცირება.

## 6. ფორს-მაჟორი

6.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

6.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა

აუცილებლად წერილობით შეატყობინებს მეორე მხარეს ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობების მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 8. სადაო საკითხების გადაწყვეტა

8.1. მხარეებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკების პროცესში მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

8.2. თუ ასეთი მოლაპარაკების გზით მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია დავის გადაწყვეტის მიზნით დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

## 9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომლებიც გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნის მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 2 დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

## 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან.

10.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2015 წლის 25 დეკემბრიდან - 2016 წლის 31 იანვრამდე

## 11. სხვადასხვა

11.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად (2 გვერდზე) და თითოეულ მათგანს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

„შემსყიდველი":
სსიპ „ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის
სახელმწიფო დრამატული თეატრის" დირექტორი: ნ. წერეთელი/
ქ. ჭიათურა, ჭავჭავაძის ქ. №15
ს/კ 215593043
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის სახაზინო კოდი: 708417015

"მიმწოდებელი":
შპს "შოუ ტექნიკის ცენტრი"
ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი: გაბელაია/
ს/კ 205073212
ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. # 27ბ
მომსახურე ბანკი: სს „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის ნომერი: GE40TB1100000028467909